საიდ. №68096/03
IR1119550

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 161-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), ე. ქემაშვილი, მ. ბაკურაძე, 2013 წლის 20 აგვისტოს №161-03/13 სააპელაციო საჩივრისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 199-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანია „ბოდე ხემიე გმბჰ" („Bode Chemie GmbH") (Melanchthonshtrasse 27, 22525 Hamburg, Germany) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 მაისის №914/03 ბრძანების ბათილად ცნობა. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „Baktolin" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი იდენტურია კომპანიის „ბოდე ხემიე გმბჰ & კო." („Bode Chemie GmbH & Co.") (Melanchthonshtrasse 27, 22525 Hamburg, Germany) სახელზე რეგისტრირებული ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნისა „Baktolin" (რეგ. №6059, რეგისტრაციის თარიღი: 23.07.1997.წ.), რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-3 და მე-5 კლასების მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის. ზემოთქმული წარმოადგენს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი ლილიანა დარახველიძე მოითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 მაისის №914/03 ბრძანების ბათილად ცნობას და განცხადებული სასაქონლო ნიშნის „Baktolin" რეგისტრაციას განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

აპელანტი მის სააპელაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მან 2013 წლის 20 აგვისტოს შეიტანა საქპატენტში შუამდგომლობა დაპირისპირებულ ნიშანში „Baktolin" (რეგ. №6059) ცვლილების შეტანის შესახებ და წარმოადგინა აფიდავიტი და მისი თარგმანი ქართულ ენაზე. აპელანტი აღნიშნავს, რომ აფიდავიტიდან გამომდინარე კომპანიის ძველი დასახელება და მისამართი იყო: „ბოდე ხემიე გმბჰ & კო." (მის. 27, მელანხთონშტრასე, 22525 ჰამბურგი, გერმანია), „Bode Chemie GmbH & Co." (Melanchthonshtrasse 27, 22525 Hamburg, Germany), ხოლო კომპანიის ახალი დასახელება და მისამართი არის: „ბოდე ხემიე გმბჰ" (მის. 27, მელანხთონშტრასე, 22525 ჰამბურგი, გერმანია), „Bode Chemie GmbH" (Melanchthonshtrasse 27, 22525 Hamburg, Germany).

აპელანტის განმარტებით, ეს არის ერთი და იგივე კომპანია ერთი და იგივე მისმართით და მიიჩნევს, რომ აღარ არსებობს უარის თქმის საფუძველი. აქედან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 მაისის №914/03 ბრძანების ბათილად ცნობას.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 მაისის №914/03 ბრძანება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის

შესაძლებლობა”.

2013 წლის 20 აგვისტოს დაპირისპირებული ნიშნის მფლობელმა კომპანიამ „ბოდე ხემიე გმბჰ & კო.” (მის. 27, მელანხთონშტრასე, 22525 ჰამბურგი, გერმანია), ,,Bode Chemie GmbH & Co.” (Melanchthonshtrasse 27, 22525 Hamburg, Germany) სახელწოდება შეიცვალა შემდეგზე: „ბოდე ხემიე გმბჰ” (მის. 27, მელანხთონშტრასე, 22525 ჰამბურგი, გერმანია), ,,Bode Chemie GmbH” (Melanchthonshtrasse 27, 22525 Hamburg, Germany), რაც ასევე ასახულია საქპატენტის ოფიციალურ რეესტრში.

ვინაიდან, განცხადებული ნიშნის და დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი ერთი და იგივე პირია, არ არსებობს განცხადებული ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ

” ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 მაისის №914/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ბოდე ხემიე გმბჰ” (,,Bode Chemie GmbH”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 23 მაისის №914/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Baktolin” (IR1119550) მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ეგუტია
წევრები:	ე. ქემაშვილი
	მ. ბაკურაძე